საექსპერტო შეფასება

შერულებულია არქიტექტურული პროექტის "ტექნუკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

ობიექტის მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის მე-12 კილომეტრი (ს/კ: 01.72.14.013.681)

ობიექტის ფუნქცური დანიშნულება: სტუდენტური სასწავლო-საცხოვრებელი კორპუსი (არსებული შენობის რეკონსტრუქცია, მიშენება-დაშენება)

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორ(ებ)ი: გელა კობიაშვილი, ჯუმბერ ჭუმბურიძე

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით)

გამოსაკვლევი ნაწილები:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

მ) ლიფტების შეფასებას;

ნ) ღია ავტოსადგომის შეფასებას.

გამოკვლევა:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შენობის რეკონსტრუქციას, კერძოდ: არსებულ ორსართულიან (სარდაფით) შენობაზე ხდება მიშენება და ერთი სრული და ერთი, ფართობის მიხედვით, არასრული სართულის დაშენება.

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

- საპროექტო შენობას გააჩნია სხვადასხვა სახის ფუნქციური დანიშნულების ფართობები (სივრცეები) და შესაბამისად საქმე გვაქვს დაკავებულობის რამდენიმე ჯგუფთან, ესენია: **1)** 0,00 ნიშნულიდან +10,30 ნიშნულის ჩათვლით განთავსებული სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ოთახები **(სც-2)**; **2)** -3,05 ნიშნულზე განთავსებული სასადილო დარბაზი სამზარეულოთი **(თვ-2)**; **3)** -3,05 ნიშნულზე განთავსებული ტრენაჟორების დარბაზი გასახდელებითა და სანკვანძებით **(თვ-3)**;
  4) -3,05 და +3,30 ნიშნულებზე განთავსებული სამეურნეო საწყობები **(სწ-1)**; **5)** -3,05, 0,00, +3,30, +7,00 და +10,30 ნიშნულებზე განთავსებული: საკონფერენციო და სალექციო დარბაზები, მაგიდის ჩოგბურთისთვის და საბილიარდოსთვის განკუთვნილი სივრცეები, საერთო სარგებლობის სამზარეულო-სასადილოები, კომპიუტერების ოთახები, დირექტორის ოთახი და სამედიცინო პუნქტი **(სქ)**;
  6) +10,30 ნიშნულზე განთავსებული დამხმარე მოწყობილობების ოთახი **(დს)**.

ყოველი ზემოხსენებული სივრცის დაკავებულობა სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება „წესების“ 303.3, 303.4, 304.1, 310.4, 311.2 და 312.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

დაკავებულობის დატვირთვის ნაწილშიც საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „წესების“ 1004.1.2 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ: სწორად არის შერჩეული თვითეული სივრცის შესაბამისი სტატუსი და შემდგომ მათი სუფთა ან მთლიანი ფართობები (რაც ამ შემთხვევაში სც-2-ის გარდა ყველგან ემთხვევა) გაყოფილია ცხრილით განსაზღვრულ დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე. განვიხილოთ დეტალურად:

- საცხოვრებელი (საძინებელი) ერთეულებისთვის (სც-2) მიკუთვნებულია საერთო საძინებლების სტატუსი და შემდეგ ფართობი (ფართობი კედლებს შორის, გადახურული აივნებით და საჰაერო/ საკომუნიკაციო არხების გარეშე) გაყოფილია 4,7-ზე;

- სასადილო დარბაზისთვის (თვ-2) მიკუთვნებულია არაფიქსირებული დასაჯდომებიანი თავშეყრის (არაკონცენტრირებული) ფართობის სტატუსი და მისი სუფთა ფართობი (დაკავებულობის რეალური ფართობი, როგორც ეს „წესების“ განმარტებაშია განსაზღვრული) გაყოფილია 1,4-ზე;

- სამზარეულოსთვის (თვ-2) მიკუთვნებულია კომერციული სამზარეულოს სტატუსი და მისი მთლიანი ფართობი გაყოფილია 18,6-ზე;

- რაც შეეხება ტრენაჟორების დარბაზს (თვ-3), აქ დაკავებულობის დატვირთვა გამოთვლილია ფიქსირებული გასახდელი კარადების მიხედვით და შეადგენს 32-ს (დ.დ-ის გამოთვლის ასეთი ხერხი დასაშვებია „წესების“ მიხედვით);

- სამეურნეო საწყობებისთვის (სწ-1) შერჩეულია დამხმარე სათავსების სტატუსი და მათი მთლიანი ფართობი გაყოფილია 27,9-ზე;

- საკონფერენციო დარბაზებისთვის მიკუთვნებულია არაფიქსირებული დასაჯდომებიანი თავშეყრის (არაკონცენტრირებული) ფართობების სტატუსი და მისი სუფთა ფართობი გაყოფილია 1,4-ზე;

- სალექციო დარბაზისთვის მიკუთვნებულია საკლასო ოთახის სტატუსი და სუფთა ფართობი გაყოფილია 1,9-ზე;

- მაგიდის ჩოგბურთისა და საბილიარდოსათვის მიკუთვნებულია სპორტული ვარჯიშებისათვის განკუთვნილი ოთახების სტატუსი და მათი მთლიანი ფართობები გაყოფილია 4,7-ზე;

- საერთო სამზარეულო-სასადილოებისთვის მიკუთვნებულია არაფიქსირებული დასაჯდომებიანი თავშეყრის (არაკონცენტრირებული) ფართობების სტატუსი (ალბათ, გამომდინარე იქიდან, რომ ამ სივრცეებში სართულის დამკავებელთა გარკვეული რაოდენობა რაღაც მომენტში ერთად იყრის თავს) და სუფთა ფართობები გაყოფილია 1,4-ზე;

- კომპიუტერების ოთახებისთვის მიკუთვნებულია სტუდიებისთვის და სხვა პროფესიული წვრთნისთვის საჭირო ოთახების სტატუსი და მათი სუფთა ფართობები გაყოფილია 4,7-ზე;

- დირექტორის ოთახისთვის მიკუთვნებულია საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) ფართობის სტატუსი და მთლიანი ფართობი გაყოფილია 9,3-ზე;

- სამედიცინო პუნქტისთვის მიკუთვნებულია ამბულატორიული მკურნალობისთვის განკუთვნილი ფართობის სტატუსი და მისი მთლიანი ფართობი ასევე გაყოფილია 9,3-ზე.

დაკავებულობის დატვირთვები დამრგვალებულია მეათედის სიზუსტით.

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- პროექტის ავტორის მიერ საპროექტო შენობისათვის მიკუთვნებული კონსტრუქციის ტიპი (III-A ტიპი) შერჩეულია შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულიანობის გათვალისწინებით და აკმყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. რაც შეეხება არსებული შენობის ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხს, იმის დასადგენათ თუ რამდენად შესაბამისობაშია ის 601 ცხრილში განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ვიხელმძღვანელეთ შ.პ.ს შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი“-ს მიერ შესრულებული სარეკონსტრუქციო შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევით, სადაც აღნიშნულია, რომ მზიდი კედლები გახლავთ აგურის, რომლის სისქე 50სმ-ია, ხოლო სართულშუა გადახურვა არის რკინა-ბეტონის. ეს ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ სტრუქტურულ ელემენტებს „წესების“ 721.1(2) და 721.1(3) ცხრილების მიხედვით გააჩნიათ 2 საათიანი (და მეტიც) ცეცხლმედეგობის ხარისხი, რაც აკმაყოფილებს 601 ცხრილით განსაზღვრულ მოთხოვნებს III-A ტიპის კონსტრუქციის შენობის ელემენტების მიმართ. ასევე შესაბამისობაშია „წესებთან“ საპროექტო მიშენება-დაშენების სტრუქტურული ელემენტები.

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- საპროექტო ობიექტის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპთან (III-A) და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია სწორად და არის 17,05მ, შესაბამისად შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან (ამ შემთხვევაში მიწის დონიდან) 23მ-ზე მაღლა და ე.ი. „წესების განმარტების მიხედვით შენობა არ არის მაღლივი.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

- შენობის დაკავებულობისა და სართულიანობის გათვალისწინებით საჭიროა 2 გასასვლელის მოწყობა (ცხრილი 1021.2(2)) რაც პროექტით გათვალისწინებულია, კერძოდ ყველა სართულს აქვს ორი გასასვლელი გზა-კიბის სახით, რომლებთან მისადგომი გზა-კარები ერთმანეთთან აუცილებელზე მეტი მანძილით არის დაშორებული და აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს. 0.00 ნიშნულზე „1-2“ ღერძებში განთავსებული გზა-კიბე მიემართება უშუალოდ შენობის გარეთ (ანუ გადის ღია ბაქანზე საიდანაც მიწის დონეზე მოხვედრა შეიძლება 5 საფეხურიანი ღია გზა-კიბის და პანდუსის მეშვეობით), ხოლო „15-16“ ღერძებში განთავსებული გზა-კიბე შენობის გარეთ მიემართება 1023 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი გზა-დერეფნის გავლით, რომელიც თავის მხრივ ასევე ბოლოვდება ღია გზა-კიბით და პანდუსით;

- შენობის გზა-კიბეებს, ყველა სართულზე, აკავშირებს გასასვლელთან მისადგომი საკმაოდ განიერი დერეფნის სახით, რაც აკმაყოფილებს 1018 ქვეთავის მოთხოვნებს (გამონაკლისს წარმოადგენს +10,30 ნიშნულზე არსებული სართული სადაც კიბებს შორის კავშირი მხოლოდ ბრტყელი სახურავის გავლითაა შესაძლებელი);

- შენობაში არის ორი ფართობი, რომლებსაც „წესების“ 1015.1 ცხრილის თანახმად (დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე) ჭირდება ორი გასასვლელთან მისადგომის გზა-კარი, ესენია: -3,05 ნიშნულზე განთავსებული სასადილო დარბაზი, რომლის დ.დ. =102,6 (მეტია 49-ზე) და +10,30 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ერთეული, რომლის დ.დ=13,0 (მეტია 10-ზე). აქედან პირველ შემთხვევაში ფართობს აქვს ორი გზა-კარი, რომელთა შორის დაშორება აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო მეორე შემთხვევაში ფართობს აქვს ერთი გზა-კარი, მაგრამ ვინაიდან ეს ფართობი მთლიანად არის აღჭურვილი 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი NFPA 13-ის საშხეფი სისტემით, 1015.1 ქვეთავის N1 პუნქტის N1 გამონაკლისის თანახმად ერთი გზა-კარი საკმარისია;

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ცხრილის და 1016.3 ქვეთავის მოთხოვნებს;

- შენობიდან გამოსვლა საზოგადოებრივ სივრცეში ხდება დაუბრკოლებლად, საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით.

-

ე) **გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:**

- პროექტით წარმოდგენილი ორივე შიგა გასასვლელის გზა-კიბის სიგანე არის 1,13მ (მოაჯირებს შორის), რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს კიბეებზე

სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ, მოწყობილია მოაჯირი 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს; პირველ სართულზე შენობის ორივე მხარეს გამოსასვლელი გზა-კარის სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს. კარის წინ მოწყობილია ბაქანი რომელიც აკმაყოფილებს 1008.1.6. ქვეთავის მოთხოვნებს. გარე გასასვლელი გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე შენობის ერთ მხარეს არის 1,76მ, ხოლო მეორე მხარეს 3,95მ, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. ვინაიდან ამაღლება 0.75. მ-ია, როგორც ბაქანზე ასევე კიბეებზე სავალი ზედაპირის ორივე მხარეს მოწყობილია მოაჯირები 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო განიერი კიბის შუაში 1012 ქვეთავის შესაბამისად სახელური. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სხვა გასასვლელი საშუალებებიც სწორად არის დაგეგმარებული, კერძოდ:
  დერეფნების სიგანე აკმაყოფილებს 1005.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს (მეტიც არის)
  ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

ვ) **მისაწვდომობის შეფასება:**

- შენობის შესასვლელებთან მოწყობილია 6,5% და 7,0%-იანი ქანობის პანდუსები, რომლის ზომები აკმაყოფილებს „წესების“ 1010 ქვეთავის მოთხოვნებს.

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი;

- 100 საცხოვრებელი/საძინებელი ერთეულიდან 5 არის მისაწვდომი, რაც აკმაყოფილებს 1107.6.1.1 ცხრილის და 1107.6.2.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

- შენობაში არის ლიფტი, რომელიც ზომების მიხედვით არის მისაწვდომი;

- სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლა-გეზი;

- საზოგადოებრივი სივრციდან შენობაში მოხვედრა შესაძლებელია დაუბრკოლებლად;

- დაცულია 1106.1 ქვეთავის და შესაბამისი ცხრილის მიხედვით გათვალისწინებული მისაწვდომი სადგომების რაოდენობა (1 სადგომი).

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- შენობის გარე კედლების ნაწილს, კერძოდ: "1-2", „2-15" და „2-1" ღერძებში მოქცეულ გარე კედლებს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით (9,0 მ-ზე მეტია) არ ესაჭიროება ხანძარმედეგობა (ცხრილი 602) და შესაბამისად გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 705.8 ცხრილის მიხედვით არის შეუზღუდავი. თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს არსებული ორსართულიანი (სარდაფით) შენობის მზიდი კედლები, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათიანი, რაც სწორად არის დატანილი შესაბამის ნახაზებზე (როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ ეს მზიდი კედლები არის 50სმ სისქის აგურის და შესაბამისად „წესების" 721.1(2) ცხრილის თანახმად მათ აქვს 2 საათიანი (მეტიც) ცეცხლმედეგობის ხარისხი. 601 ცხრილის მიხედვით ამას ითხოვს კონსტრუქციის ტიპიც).

- რაც შეეხება „15-16“, “16-15” და „15-2“ ღერძებში მოქცეულ გარე კედლებს, აქ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები ცვალებადია, მერყეობს დაახლოებით 5.0 მ-დან 9.0 მ-მდე დიაპაზონში (მანძილები დათვლილია „შენობა-ნაგებობის კოდექსები ილუსტრირებული“-ის მიხედვით. იხ. გვ. 55) და შესაბამისად მათ, შენობის კონსტრუქციის ტიპიდან (III-A) და დაკავებულობებიდან გამომდინარე, 602 ცხრილის მიხედვით ეკუთვნით 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რაც წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია. რაც შეეხება ამ კედლებში განთავსებულ ღიობებს, მათი ფართობი აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს;

- დაცულია აგრეთვე 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნები, მომიჯნავე სართულების ღიობების ერთმანეთისგან შვეულ დაშორებებთან მიმართებაში;

- გარე კედლებს აქვს 705.11.1 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი პარაპეტი.

შენიშვნა: ხარძარსაწინააღმდეგო მანძილები მითითებულია 0.00 ნიშნულის გეგმაზე

თ) სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კონსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები. სახურავის კონსტრუქცია არის 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის და (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) მოქცეულია პარაპეტის საზღვრებში;

- სახურავზე მოწყობილია პარაპეტი, რომლის სიმაღლე, სადაც სახურავის ზედაპირი და კედელი ერთმანეთს კვეთს არის 0.90 სმ, რაც აკმაყოფილებს 705.11.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ვინაიდან სახურავს უნდა ქონდეს მისადგომი მომსახურებისთვის 1009.16 ქვეთავის მიხედვით, მესამე სართულის (+10.30 ნიშ) სახურავიდან მეოთხე სართულის (+13.80 ნიშ) სახურავზე მოხვედრა ხდება მონაცვლესაფეხურებიანი კიბის საშუალებით. კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.13.2 ქვეთავის მოთხოვნებს. კიბის ქანობი „წესებთან“ შესაბამისობაშია. მონაცვლესაფეხურებიანი კიბის ორივე მხარეს მოწყობილია მოაჯირები ყველა წესის დაცვით. უსაფრთხოების თვალსაზრისით ვინაიდან სახურავს აქვს 0.90 მ-იანი პარაპეტი, სახურავზე დამატებით მოაჯირების მოწყობის აუცილებლობა არ არის.

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- საპროექტო შენობაში არსებული საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან 420.2 ქვეთავის შესაბამისად გამიჯნულია ცეცხლმედეგი ტიხრებით, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 1 საათი, რაც აკმაყოფილებს 708.3 ქვეთავის მოთხოვნებს, თუმცა ზოგ შემთხვევაში (მხედველობაშია არსებული შენობის I და II სართულები სადაც გამყოფი კედელი ემთხვევა მზიდ კედელს) არსებული გამმიჯნავი კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათს შეადგენს.

- 420.3 ქვეთავის თანახმად საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან თარაზულადაც არის გამიჯნული 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე იატაკის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს როგორც კონსტრუქციის ტიპის მოთხოვნებს (ცხრილი 601), ასევე თავისთავად 711.3 ქვეთავის მოთხოვნებს (მეტიც არის);

- ერთმანეთისგან 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კედლებით არის გამიჯნული -3,05 ნიშნულზე განთავსებული სქ, თვ-2, თვ-3 და სწ-1 დაკავებულობების მქონე ფართობები, თუმცა ესეც განპირობებულია არსებული მზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხით, თორემ 508.4 ცხრილის მიხედვით მათი გამიჯვნა ან საერთოდ არ არის საჭირო ან უნდა იყოს 1 საათიანი, რადგან ეს გახლავთ მიწის დონის ქვემოთა სართული, ღიობების გარეშე და მთლიანად არის აღჭურვილი საშხეფი სისტემით. სწორად არის გამიჯნული ერთმანეთისგან +0,00 და მის ზემოთ ნიშნულებზე განთავსებული განსხვავებული დაკავებულობების მქონე ფართობებიც, ხოლო რაც შეეხება +3,30 ნიშნულზე არსებულ სამეურნეო საწყობს (სწ-1) და კომპიუტერების ოთახს (სქ), მათ 508.4 ცხრილის თანახმად გამიჯვნა არ ესაჭიროებათ

  როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სართულშუა გადახურვების კონსტრუქციებს გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი და შესაბამისად ზემოთხსენებული ფართობები ერთმანეთისგან თარაზულადაც 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე იატაკის ანაწყობებით არის გამიჯნული ;

- დერეფნები საცხოვრებელი ერთეულებისგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ტიხრებით, რაც სავსებით აკმაყოფილებს 1018.1 ცხრილის მოთხოვნებს (მოთხოვნილია ½ საათი, ვინაიდან დერეფნებში ავტოსაშხეფი სისტემაა დაყენებული);

- კიბის უჯრედები შენობის დანარჩენი სივრცეებისგან 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლით არის შემოზღუდული/გამიჯნული და გააჩნია 1,5 საათიანი ცეცხლმედეგობის თვითმკეტებადი კარი, რაც შეესაბამება 1009.3.1.2 ქვეთავისა და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

- შენობაში არსებული შახტების (ლიფტის, საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათი, რაც შეესაბამება 713.4

ქვეთავის მოთხოვნებს (საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3 ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით).

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:

- ვინაიდან საპროექტო, სც ჯგუფის მრავალბინიანი შენობის სიმაღლე მიწის დონიდან 30მ-ს არ აღემატება, 903.2.8 ქვეთავის მიხედვით ავტოსაშხეფი სისტემის მთლიან შენობაში დაყენება საჭირო არ არის და შესაბამისად არც პროექტით არის გათვალისწინებული. ავტოსაშხეფი სისტემა გათვალისწინებულია შემდეგ ადგილებში: 1) დერეფნებში, რაც 1018.1 ცხრილით არის განსაზღვრული; 2) მიწის დონის ქვედა, -3,05 ნიშნულზე არსებულ სართულზე, რომელსაც არ გააჩნია ღიობები, რაც 903.2.11.1 ქვეთავით არის განსაზღვრული;
  შენიშვნა : ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 903.3.1-903.3.6 ქვეთავების მთხოვნათა დაცვით.

- შენობაში გათვალისწინებულია ასევე სახანძრო მილდგარების სისტემა;
  შენიშვნა: სისტემის მოწყობა მოხდეს 905 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- შენობაში გათვალისწინებულია კვამლის კონტროლის სისტემა ლიფტის შახტაში მოწყობილი დაწნევის სისტემის სახით;
  შენიშვნა: სისტემა მოეწყოს 909.21.1-909.21.11 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით.

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები
  შენიშვნა: სისტემები მოეწყოს 907 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები.
  შენიშვნა: ხელის ცეცხლმაქრების განთავსება მოხდეს 906 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება „წესების“ 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს.

მ) ლიფტების შეფასება:

- ვინაიდან ლიფტს არ აქვს ფოიე, ლიფტის შახტა არის დაწნევადი, რაც აკმაყოფილებს 713.14.1 ქვეთავის N6 გამონაკლისის მოთხოვნას;

- ლიფტის შახტის ბოლოში მოწყობილია საჰაერო ნახვრეტები 1704.1, 1704.2 და 1704.3 ქვეთავების შესაბამისად;

- ლიფტის კაბინის გაბარიტები იძლევა იმის საშუალებას, რომ მასში 60სმ X 2,15მ ზომის საკაცე განთავსდეს, რაც აკმაყოფილებს 1702.4 ქვეთავის მოთხოვნას.

ნ) ღია(გარე) ავტოსადგომის შეფასება:

- დაცულია ავტოსადგომისათვის საჭირო მოთხოვნები, კერძოდ: საავტომობილო გზის სიგანე, ავტოსადგომის ზომები და განლაგება აკმაყოფილებს “წესების“ 406.9.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

დასკვნა

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის მე-12 კილომეტრი (ს/კ: 01.72.14.013.681) დაპროექტებული სტუდენტური სასწავლო-საცხოვრებელი კორპუსის რეკონსტრუქციის პროექტი შესაბამისობაშია "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

გაფრთხილება:

სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა - ნაგებობის უსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნათა დაცვით!

ექსპერტი: ი. კვარაცხელია

გამოყენებული მასალები:

არქიტექტორების: გელა კობიაშვილის და ჯუმბერ ჭუმბურიძის მიერ შესრულებული არქიტექტურული პროექტი.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.
2. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

ექსპერტის მონაცემები

სახელი, გვარი: ირაკლი კვარაცხელია

დაბადების თარიღი და ადგილი: 23 ივნისი 1973 წელი, ქ. თბილისი

მისამართი: ქ. თბილისი, ჯანაშვილის ქ 5-7, ტ: 597 228 560

განათლება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი

პროფესია: არქიტექტორი

მუშაობის სტაჟი: 18 წელი

პროფესიული გამოცდილება: 1998 – 2008 წწ. ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური (მთ. სპეციალისტი, შემდგომ განყოფილების უფროსი)

2008 –2010 წწ. შპს “საამშენებლო კომპანია პლანეტა” (არქიტექტორი)

2010 – 2017 წწ შ.პ.ს “თბილქალაქპროექტი" (არქიტექტორი, შემდგომ დირექტორი დღემდე)

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-007

გადაეცემა

ირაკლი კვარაცხელიას

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

საქართველო

დიპლომი უა № 003165

მიეცა არჩილი ალექსანდრეს ძე

კვარაცხელიას

მასზე, რომ ის 1990 წელს შევიდა საქართველოს

ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1996 წელს დაამთავრა ტექნიკური

უნივერსიტეტის

სრული კურსი

არქიტექტურის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის

„17" ივლისის გადაწყვეტილებით

ი.ა. კვარაცხელიას მიენიჭა

არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი „29" VII 1996 წ.

სარეგისტრაციო № 4216

МПФ Гознака. 1995.